

# GeoIGF

## საქართველოს ინტერნეტმმართველობის ფორუმის ანგარიში

2016 წელი



## 1) ფორუმის მოსამზადებელი აქტივობები

2015 წლის დეკემბერში ევროპის საბჭოს ორგანიზებით საქართველოში პირველად ჩატარდა ინტერნეტ მმართველობის ფორუმი, რომელზედაც განხილული იყო ქვეყნის ინტერნეტ სივრცისთვის მნიშვნელოვანი საკითხები. ღონისძიების დღის წესრიგის შემუშავებაში სამთავრობო და კერძო ჯგუფებთან ერთად ჩართული იყო არასამთავრობო სექტორის და სხვა დაინტერესებული მხარეების წარმომადგენლები.

2016 წლის დასაწყისში, ააიპ „ინტერნეტის განვითარების ინიციატივის“ და ააიპ „საქართველოს მცირე და საშუალო სატელეკომუნიკაციო ოპერატორების ასოციაციის“ ინიციატივით მოხდა პირველადი საინიციატივო ჯგუფის შექმნა, რომელშიც გაერთიანდა საქართველოს ეროვნული მარეგულირებელი კომისიის, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, ISOC-ის საქართველოს და საქართველოს საჯარო და კერძო სექტორის წარმომადგენლები.

2016 წლის 4 მაისს, ფორუმის საინიციატივო ჯგუფის მიერ, საქართველოს პარლამენტის ბიბლიოთეკის დარბაზში, ჩატარდა ფორუმის სადამფუძნებლო შეკრება რომელზეც დამტკიცდა ფორუმის წესდება და არჩეული იქნა საორგანიზაციო კომიტეტი.

დროის პერიოდი	აქტივობა
2016 წლის იანვარი- თებერვალი	სადამფუძნებლო ჯგუფის შეკრება და პირველადი შეთანხმებები
2016 წლის მარტი- აპრილი	ფორუმის პოტენციურ წევრებთან კომუნიკაცია, ფორუმის წევრების სამოქმედო წესდების პროექტის მომზადება
2016 წლის მაისი	ინტერნეტმმართველობის ფორუმის დაფუძნება
2016 წლის ივნისი	ინტერნეტ გვერდის სატესტო ვერსიის წარმოდგენა
2016 წლის ივნისი	აღმასრულებელი კომიტეტის და საბჭოს, კოორდინატორის არჩევნები
2016 წლის ივლისი	დღის წესრიგის პროექტის წარმოდგენა და კენჭისყრის პროცესის დაწყება
2016 წლის ივლისი-აგვისტო	ფორუმის წინა მოსამზადებელი სამუშაოები, შეხვედრები ჯგუფებში, დღის წესრიგის ფორმირება, დონორებთან და მხარდამჭერებთან ურთიერთობა.

ინტერნეტ მმართველობის ფორუმში გაერთიანდა 30-მდე ორგანიზაცია და ფიზიკური პირი, ხოლო ფორუმის აღმასრულებელი კომიტეტში წევრად მონაწილეობის სურვილი 16-მა პირმა გამოთქვა.

ფორუმის საქმიანობის უმთავრესი პრინციპები წარმოდგენილია მრავალმხრივ შეთანხმებაში, კერძოდ:

- ადამიანის ფუნდამენტური უფლებების და თავისუფლებების დაცვა ინტერნეტში, დემოკრატიული პროცესების და კანონის უზენაესობის ხელშეწყობა;
- ინტერნეტ-მმართველობის განხორციელების ხელშეწყობა ყველა დაინტერესებული მხარის ჩართულობით;
- საერთაშორისო რეგულაციების და ქვეყნის კანონმდებლობის ჰარმონიზაციის ხელშეწყობა;
- მომხმარებლების უფლებების და შესაძლებლობების გაძლიერების ხელშეწყობა;
- ინტერნეტის უნივერსალიზაციის ხელშეწყობა;
- ინტერნეტის უსაფრთხოების და საიმედოობის, მდგრადობის და სანდოობის ხელშეწყობა;
- ინტერნეტ-მმართველობის დეცენტრალიზებული და სოციალურ პასუხისმგებლობაზე დამყარებული მიდგომების ჩამოყალიბების მხარდაჭერა;
- ინტერნეტ სექტორში ინოვაციების, ახალი ტექნოლოგიების და სერვისების დანერგვის ხელშეწყობა;
- ღია დაშვების და მომხმარებლისთვის არჩევანის თავისუფლების პრინციპების დანერგვა;
- ინტერნეტში კულტურული და ლინგვისტური მრავალფეროვნების ხელშეწყობა, ლოკალური შინაარსის მოცულობის ზრდის განვითარების ხელშეწყობა.

ფორუმის წესდება ემყარება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის, ევროპის საბჭოს, ინტერნეტ საზოგადოების (ISOC) და ინტერნეტ მმართველობის ფორუმის სამდივნოს რეკომენდაციებს და საუკეთესო პრაქტიკას და გულისხმობს ფორუმის დღის წესრიგის შემუშავების მრავალმხრივი ჩართულობის მოდელს, ფორუმის ორგანიზებას მინიმალური დანახარჯებით და მაქსიმალურ გამჭვირვალობას, მხარეთა მაქსიმალურ ჩართულობით. ინტერნეტ მმართველობის ფორუმს საფუძვლად უდევს ყველა დაინტერესებული მხარის თანამშრომლობა, სადაც ჩართულია 5 დაინტერესებული ჯგუფი: მთავრობა, კერძო სექტორი, სამოქალაქო საზოგადოება, სამეცნიერო – საგანმანათლებლო და ტექნოლოგიების სფეროს სპეციალისტები და საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენლები. ფორუმის ყველა მონაწილე თანამშრომლობს, როგორც თანაბარი ღონის პარტნიორი.

ფორუმის აღმასრულებელი კომიტეტის შეკრება ჩატარდა მიმდინარე წლის 2 ივნისს, სადაც შეირჩა ფორუმის სამუშაო ჯგუფი, მასპინძელი ორგანიზაციები და კოორდინატორი, 2016 წლის ღონისძიებისთვის. შეხვედრაზე ასევე წარმოდგენილი იყო ფორუმის დღის წესრიგის პროექტი. აღმასრულებელი კომიტეტის მიერ ასევე დამტკიცდა ღონისძიების თარიღი -5 სექტემბერი. ამავე შეხვედრაზე წარმოდგენილი იქნა და დამტკიცდა ფორუმის ინტერნეტ გვერდის სატესტო ვერსია – [www.geoigf.ge](http://www.geoigf.ge) .

ფორუმის მხარდაჭერის სურვილი გამოთქვეს ევროპის საბჭოს (CoE), ISOC-ის ევროპული ოფისის, RIPE NCC-ის და ICANN-ის წარმომადგენლებმა, ასევე სსიპ “საქართველოს ტექნოლოგიების და ინოვაციების სააგენტომ”. ამ ეტაპისთვის ფორუმის კონტიბუტორებში მოიაზრება ლოკალური კომერციული კომპანიები და სამოქალაქო სექტორის წევრები.

## 2. ფორუმის ორგანიზების საკვანძო საკითხები

საქართველოს ინტერნეტ-მმართველობის ფორუმი აერთიანებს საქართველოს ინტერნეტ-მმართველობის საკითხებით დაინტერესებული პირებს და მისი წევრობა თავისუფალია.

საქართველოს ინტერნეტ-მმართველობის ფორუმი მიზნად ისახავს ხელი შეწყოს საჯარო კონსულტაციების პროცესს და ყველა დაინტერესებული მხარის ჩართულობას ადგილობრივი პრობლემების იდენტიფიცირებას და განხილვაში, უზრუნველყოს ყველა დაინტერესებული პირის უშუალო ან დისტანციური ჩართულობა ფორუმის ან სხვა მსგავსი ღონისძიების მიმდინარეობისას და უზრუნველყოს სახელმწიფო სექტორის, სამოქალაქო საზოგადოების, კერძო სექტორის, აკადემიური წრეებისა და ტექნიკური საზოგადოების ჩართულობა.

ინტერნეტ-მმართველობის ფორუმში მონაწილეობა ნებაყოფლობითია, განვერიანება ხორციელდება სახელმწიფო რეგისტრაციის გარეშე და არ წარმოშობს რაიმე ტიპის ფინანსურ ან სხვა სახის ვალდებულებებს. ამ საზოგადოების წევრობა ღიაა და მიმართვის საფუძველზე, ყველა დაინტერესებული პირი ხდება მისი წევრი მიმართვის წარდგენისთანავე.

„ინტერნეტ-მმართველობის საზოგადოება“ ამ წესდებით დადგენილი წესით, საორგანიზაციო საკითხების მოსაწესრიგებლად, ერთი წლის ვადით, აირჩია საქართველოს „ინტერნეტ-მმართველობის ფორუმის კომიტეტი“, დადგენილი პარიტეტული ქვოტების მიხედვით, კერძოდ კომიტეტში დაინტერესებული პირები ნაწილდება შემდეგ 5 (ხუთი) ჯგუფად: სამთავრობო, კომერციული, არასამთავრობო, აკადემიური (ასევე ტექნიკური დარგის ექსპერტები და ინფორმაციული საზოგადოების წარმომადგენლები) და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

2016 წლის საქართველოს ინტერნეტ მმართველობის ფორუმი ჩატარდა თბილისის ტექნოლოგიურ პარკში.

საბოლოო დღის წესრიგი განისაზღვრა შემდეგი სახით:

დრო	შინაარსი	მონაწილეები
09.30-10.00	<b>რეგისტრაცია</b>	
10.00-10.30	<b>მისასალმებელი სიტყვა</b>	<ol style="list-style-type: none"> <li>1. <b>დავით ხუციშვილი</b>, მინისტრის მოადგილე, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო</li> <li>2. <b>ვახტანგ აბაშიძე</b>, თავმჯდომარე, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია</li> <li>3. <b>კრისტიან ურსე</b>, ოფისის ხელმძღვანელი, ევროპის საბჭოს ოფისი საქართველოში</li> <li>4. <b>მარიტ პალოვირტა</b>, ევროპის რეგიონალური ოფისი, ინტერნეტ საზოგადოება (ISOC)</li> <li>5. <b>ირაკლი ქაშიბაძე</b>, თავმჯდომარე, საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო</li> <li>6. <b>მიხაილ იაკუშევი</b>, ვიცე პრეზიდენტი, თანამონაწილეთა ჩართულობის დარგი აღმოსავლეთ ევროპის, რუსეთისა და ცენტრალური აზიის რეგიონში, ICANN</li> <li>7. <b>ტომას შნაიდერი</b>, შვეიცარიის მთავრობა / ICANN-ის სამთავრობო საკონსულტაციო კომიტეტის თავმჯდომარე</li> </ol>
<b>პირველი სესია</b>		
10.30-11.30	<b>ინტერნეტ მმართველობის მრავალმხრივი ჩართულობის მიღწევა და ინტერნეტ მმართველობის მიზნები საქართველოში</b>	<p><b>მოდერატორი:</b> <b>ოლივიე კრეზინ-ლებლონდი</b> PhD, ევროდიგი (EuroDIG), EURALO, ISOC (გაერთიანებული სამეფო)</p> <p><b>მომხსენებლები:</b></p> <ol style="list-style-type: none"> <li>1. <b>დავით ხუციშვილი</b>, მინისტრის მოადგილე, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო</li> <li>2. <b>მერაბ ქათამაძე</b>, კომისიის წევრი, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია (GNCC)</li> <li>3. <b>დუშან სტოჟიევიჩი</b>, SEEDIG (სერბეთი)</li> <li>4. <b>მარკ კარველი</b>, კულტურის, მედიისა და სპორტის დეპარტამენტი (DCMS) (გაერთიანებული სამეფო)</li> </ol>
11.30-11.50	<b>შესვენება</b>	
<b>მეორე სესია</b>		
11.50-13.00	<b>ინტერნეტის ხელმისაწვდომობა და ფართოზოლოვანი ჩამორჩენა</b>	<p><b>მოდერატორი:</b> <b>მარიტ პალოვირტა</b>, ევროპის რეგიონალურ საქმეთა მენეჯერი, ინტერნეტ საზოგადოება (ISOC)</p> <p><b>მომხსენებლები:</b></p> <ol style="list-style-type: none"> <li>1. <b>ბესარიონ აბულაძე</b>, პროექტის კოორდინატორი, GENIE, მსოფლიო ბანკი</li> <li>2. <b>ნინო ქუბინიძე</b>, დირექტორი, „ოუფენენტი“</li> <li>3. <b>გედმინას შერკუსი</b>, იურიდიულ და კორპორატიულ საქმეთა დეპარტამენტის უფროსი, „Placiujustis internetas“ (ლიტვა)</li> </ol> <p><b>მარიამ სულაბერიძე</b>, სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტი, GNCC</p>
13.00-13.15	<b>Discussion, Q&amp;A</b>	
13.15-14.00	<b>სადილი</b>	
14.00-17:30	<b>პარალელური სესიები</b>	
	<b>მესამე სესია</b>	<b>მეოთხე სესია</b>
14.00-14.50	<p><b>მოდერატორი:</b> <b>მიხაილ იაკუშევი</b>, ვიცე პრეზიდენტი, ICANN</p> <p><b>მომხსენებლები:</b></p> <ol style="list-style-type: none"> <li>1. <b>ტომას შნაიდერი</b>, თავმჯდომარე, ICANN-ის სამთავრობო საკონსულტაციო კომიტეტი (GAC), (შვეიცარია)</li> <li>2. <b>მზია გოგილაშვილი</b>, სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტი, GNCC</li> <li>3. <b>სოფო ელიზბარაშვილი</b>, ITDC, გე ადმინისტრატორი</li> <li>4. <b>ლიანა გალსტიანი</b>, ISOC.AM, .huw (სომხეთი)</li> <li>5. <b>სოფო კიზირია</b>, „კავკასუს ონლანი“, „.ge“ ადმინისტრატორი</li> <li>6. <b>გენადი როსტომაული</b>, „მაგთიკომი“</li> </ol>	<p><b>14.00-14.50</b></p> <p><b>ელ-მმართველობის მიღწევები და გამოწვევები</b></p> <p><b>მოდერატორი:</b> <b>გიგა პაიჭაძე</b>, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია</p> <p><b>მომხსენებლები:</b></p> <ol style="list-style-type: none"> <li>7. <b>ივარ ტალო</b>, TWINNING პროგრამა, ინტერნეტ მმართველობა (ესტონეთი)</li> <li>8. <b>ირაკლი გვენეტაძე</b>, თავმჯდომარე, მონაცემთა გაცვლის სააგენტო (DEA)</li> <li>9. <b>ლევან ავალიშვილი</b>, თავმჯდომარე, ააიპ „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“ (IDFI)</li> <li>10.</li> </ol>
14.50-15.00	<b>დისკუსია, კითხვა-პასუხი</b>	
	<b>მეხუთე სესია</b>	<b>მეექვსე სესია</b>

<p><b>15.00-15.50</b> <b>პერსონალურ მონაცემთა დაცვა და ინტერნეტი</b></p>	<p><b>მოდერატორი: ნინო სარიშვილი,</b> საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსი, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატი <b>მომხსენებლები:</b></p> <ol style="list-style-type: none"> <li><b>მარი ყორჟი,</b> დამოუკიდებელი ექსპერტი (საფრანგეთი)</li> <li><b>გიორგი პირველი,</b> კიბერდანაშაულის განყოფილება, ცენტრალური კრიმინალური ოფისი, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო</li> <li><b>ლიკა საჯაია,</b> საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო, სამოქალაქო კამპანია უკანონო მიყრადების წინააღმდეგ: „ეს შენ გეხება!“</li> </ol>	<p><b>15.00-15.50</b> <b>საავტორო უფლებები და ინტერნეტი</b></p>	<p><b>მოდერატორი: ნათია კუპრაშვილი,</b> აღმასრულებელი დირექტორი, საქართველოს რეგიონულ მაუწყებელთა ასოციაცია (GARB) <b>მომხსენებლები:</b></p> <ol style="list-style-type: none"> <li><b>ეკა ყუბუსიძე,</b> კავშირგაბმულობის, საინფორმაციო და თანამედროვე ტექნოლოგიების დეპარტამენტის უფროსი, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო</li> <li><b>ივანე მახარაძე,</b> მაუწყებლობის რეგულირების დეპარტამენტის უფროსი, GNCC</li> <li><b>ირაკლი კასრაძე</b> სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნების და დიზაინის დეპარტამენტის უფროსი, საქპატენტი</li> <li><b>იური კარგაშოლოვი</b> - უკრაინული ქსელური საინფორმაციო ცენტრი/UANIC</li> </ol>
<p><b>15.50-16.00</b></p>	<p><b>დისკუსია, კითხვა-პასუხი</b></p>		
<p><b>16.00-16.20</b></p>	<p><b>ყავის შესვენება</b></p>		
	<p><b>7th Session</b></p>		<p><b>8th Session</b></p>
<p><b>16.20-17.20</b> <b>ბავშვთა ონლაინ დაცვა</b></p>	<p><b>მოდერატორი: ჯაბა ნატყებია, UNICEF</b> <b>მომხსენებლები:</b></p> <ol style="list-style-type: none"> <li><b>თამთა ტყეშაძე,</b> მომხმარებელთა უფლებების საზოგადოებრივი დამცველი, GNCC</li> <li><b>ანა სუბელიანი,</b> არასამთავრობო ორგანიზაცია “IncGEO”</li> <li><b>ირინა ვერძეული,</b> დეპარტამენტის უფროსი, სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტი, GNCC)</li> </ol>	<p><b>16.20-17.20</b> <b>ახალი მედია და ინტერნეტი</b></p>	<p><b>მოდერატორი: გიორგი გვიმრაძე,</b> საინფორმაციო სამსახურის უფროსი, საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელი <b>მომხსენებლები:</b></p> <ol style="list-style-type: none"> <li><b>ნატა ძველიშვილი,</b> აღმასრულებელი დირექტორი, ჟურნალისტური ეთიკის ქართია</li> <li><b>ტომას შნიდერი,</b> შვეიცარიის მთავრობის წარმომადგენელი, ევროპის საბჭოს მედიისა და საინფორმაციო საზოგადოების კომიტეტი(CDMSI)</li> <li><b>მაია მეცხვარიშვილი,</b> რედაქტორი, netgazeti.ge</li> </ol>
<p><b>17.20-17.30</b></p>	<p><b>დისკუსია, კითხვა-პასუხი</b></p>		
<p><b>17.30-18.00</b></p>	<p><b>დახურვის სესია</b></p>		

### 3) ფორუმის გახსნაზე და დახურვაზე სპიკერების წარმოთქმული სიტყვები

საქართველოს ინტერნეტმართველობის მეორე ფორუმი გახსნა ფორუმის კორდინატორმა უ. სეთურმა.

ფორუმის გახსნისას მისასამლებელი სიტყვები წარმოთქვეს **დავით ხუციშვილმა**, (მინისტრის მოადგილე, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო), **ვახტანგ აბაშიძემ**, (თავმჯდომარე, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია), **კრისტიან ურსემ**, (ევროპის საბჭოს საქართველოს ოფისის ხელმძღვანელი), **მაარიტ ჰალოვირტამ** (ევროპის რეგიონალური ოფისი, ინტერნეტ საზოგადოება (ISOC), **ირაკლი ქაშიბაძემ**, თავმჯდომარე, საქართველოს ინოვაციებისა

და ტექნოლოგიების სააგენტო, **მიხაილ იაკუშევმა** (ვიცე პრეზიდენტი, თანამონაწილეთა ჩართულობის დარგი აღმოსავლეთ ევროპის, რუსეთისა და ცენტრალური აზიის რეგიონში, ICANN) და **ტომას შნაიდერმა** (შვეიცარიის მთავრობა/ICANN-ის სამთავრობო საკონსულტაციო კომიტეტის თავჯდომარე).



**დავით ხუციშვილი (მინისტრის მოადგილე, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო) -** ინტერნეტ მმართველობა გულისხიობს გამჭვირვალობას და მმართველობის პროცესში მხარეების და ყველა დაინტერესებული მონაწილის მაქსიმალურ ჩართულობას, და ინფორმაციის ხელმისაწვდომობას. სწორედ ამგვარი მმართველობა წარმოადგენს მთავრობის პრიორიტეტს და უმთავრეს ამოცანას.

**ვახტანგ აბაშიძე (თავმჯდომარე, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია) -** საქართველოში უკვე მეორედ იმართება ინტერნეტ-მმართველობის ფორუმი, რაც მიუთითებს ქართული საზოგადოების დაინტერესებაზე, ხელი შეუწყოს ჩვენს ქვეყანაში ინტერნეტ მმართველობის პრინციპების დამკვიდრებას; კერძოდ - ინტერნეტ სივრცეში მომხმარებელთა უფლებების დაცვას, ინტერნეტში გამოხატვის თავისუფლების სტანდარტების განვითარებას, ინფორმაციის უსაფრთხოებასა და დაცვას, ონლაინ ჟურნალისტიკასა და სხვა. ინტერნეტის მმართველობის ფორუმს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს, როგორც ცოდნისა და განათლების ამაღლების, ასევე - ინტერნეტთან დაკავშირებულ საკვანძო საკითხებზე დისკუსიისა და პოლიტიკის შემუშავების თვალსაზრისით.



**მაარიტ პალოვირტა (ევროპის რეგიონალური ოფისი, ინტერნეტ საზოგადოება (ISOC)) -** დღის წესრიგის საკითხები რელევანტურია არამხოლოდ ეროვნულ დონეზე, ის აქტუალურია გლობალურ დონეზეც. დღის წესრიგის საკითხები ასევე შეესაბამება ISOC-ის პრიორიტეტებს - იმ პირების ინტერნეტ ხელმისაწვდომობისთვის, რომელიც ჯერ კიდევ არ არიან ჩართული ინტერნეტში. ასევე მნიშვნელოვანია ინტერნეტის მიმართ ნდობის გამყარება და შენარჩუნება.



**კრისტიან ურსე (ევროპის საბჭოს საქართველოს ოფისის ხელმძღვანელი) -** პირველი ინტერნეტ ფორუმი ჩატარდა 2015 წლის დეკემბერში მარეგულირებელი კომისიის და ადგილობრივი დაინტერესებული ჯგუფების ჩართულობით. დღევანდელი ღონისძიების დღის წესრიგი შეესაბამება იმ პრიორიტეტებს რომელსაც ხელს უწყობს



ევროპის საბჭო და ევრო კავშირი, სადაც პირველ რიგში მოიაზრება გამოხატვის თავისუფლება და მედიის დამოუკიდებლობა, რაც წარმოადგენს ინტერნეტმმართველობის მთავარ საკითხს. არანაკლებ მნიშვნელოვანი პერსონალური მონაცემების დაცვა და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა, თუმცა უმთავრესი ამ შეხვედრაზე არის ყველა დაინტერესებული ჯგუფის ერთობლივი ჩართულობა ამ პროცესში და ღონისძიების ორგანიზებაში.

**მიხეილ იაკუშევი, ვიცე პრეზიდენტი, თანამონაწილეთა ჩართულობის დარგი აღმოსავლეთ ევროპის, რუსეთისა და ცენტრალური აზიის რეგიონში, ICANN** - მიხეილ იაკუშევი ისაუბრა თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ინტერნეტ მმართველობის ფორუმს ქვეყნის ინტერნეტ რეგულირების მიმართულებით. მან მკაფიოდ გაუსვა ხაზი ICANN-ის დიდ როლს ამ პროცესებში და მის მიერ წარმოდგენილი ორგანიზაციის ჩართულობას ამ პროცესში. მიხეილ იაკუშევი წარმოადგინა პრეზენტაცია IANA-ს ტრანზაქციის შესახებ, როდესაც აშშ-ს მთავრობამ უნდა გადმოსცეს კონტროლი ამ პროცესებზე უშუალოდ თავად ICANN-ს

**ტომას შნაიდერი, შვეიცარიის მთავრობა / ICANN-ის სამთავრობო საკონსულტაციო კომიტეტის თავჯდომარე** - შვეიცარიის მთავრობა და აიკანის სამთავრობო კომიტეტი - უმთავრესი ელემენტები ინტერნეტმმართველობის ფორუმის არის ინტერაქცია და ჩართულობის დონე, და საკუთარი ხმის და მოსაზრებების წარმოდგენის შესაძლებლობა.



## სესია 1 - ინტერნეტ მმართველობის მრავალმხრივი ჩართულობის მიდგომა და ინტერნეტ მმართველობის მიზნები საქართველოში

**მოდერატორი: ოლივიე კრეპინ-ლებლონდი** - PhD, ევროდიგი (EuroDIG), EURALO, ISOC (გაერთიანებული სამეფო) - მოდერატორმა წარმოადგინა პრეზენტაცია ინტერნეტ მართველობის ფორუმის წარმოშობის და მისი რაობის და მნიშვნელობის შესახებ.



**მომხსენებლები:**

**დავით ხუციშვილი** (მინისტრის მოადგილე, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო) - დავით ხუციშვილის განცხადებით, საქართველოს

მთავრობისთვის ინტერნეტის განვითარება და მისი ყველასათვის თანაბრად ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა ერთ-ერთი პრიორიტეტია. მან ისაუბრა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს პროექტზე საქართველოში მაღალსიჩქარიანი ინტერნეტ ინფრასტრუქტურის განვითარების მიმართულებით, რომლის მიზანია ქვეყნის 2 000-მდე დასახლებული პუნქტის ოპტიკურ-ბოჭკოვანი მაგისტრალის მშენებლობა, დაშვების წერტილების მოწყობა და აქედან გამომდინარე, საქართველოს მოსახლეობისთვის ფართოზოლოვან მომსახურებებთან და მაღალსიჩქარიან ინტერნეტთან წვდომის ხელშეწყობა. ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილემ ასევე აღნიშნა, რომ ინტერნეტის მომხმარებელთა რიცხვის ზრდასთან ერთად, ბოლო წლებში განსაკუთრებით აქტუალური ხდება ინტერნეტში პირადი ცხოვრების პატივისცემის და ხელშეუხებლობის, ცენზურის და თვითცენზურის, საავტორო უფლებების ხელყოფის, სიძულვილის ენის და ძალადობისკენ მოწოდების, მავნე ზეგავლენისგან არასრულწლოვნების დაცვის საკითხები. ეს ყველაფერი პირდაპირ კავშირშია ინტერნეტში გამოხატვის თავისუფლების, აზრის დაუბრკოლებლად გავრცელების, ინფორმაციის მიღების და გავრცელების, ინფორმაციის ღიაობის და სხვა საკვანძო საკითხებთან.

**მერაბ ქათამაძე** (კომისიის წევრი, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია



(GNCC)) - როგორც მერაბ ქათამაძემ აღნიშნა, სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, მსოფლიო მოსახლეობის ნახევარზე მეტი ინტერნეტის გარეშე ცხოვრობს, იგივე ტენდენციაა საქართველოში. რაც იმას ნიშნავს, რომ ინტერნეტს კიდევ აქვს ძალიან ბევრი რესურსი განვითარებისთვის. მერაბ ქათამაძემ ისაუბრა იმ ღონისძიებების შესახებ, რომელთა გატარებაც აუცილებელია აღნიშნულ გამოწვევასთან გასამკლავებლად, მათ შორის

შესაბამისი მარეგულირებელი ჩარჩოს მიღება და გატარება ქვეყანაში. მერაბ ქათამაძემ ასევე ისაუბრა საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2015-2017 წლის სამოქმედო გეგმაზე, რომლის მიხედვითაც ინტერნეტის მმართველობის საკითხები არის კომისიის პრიორიტეტი, ძირითადი მიზანი კი მრავალი მონაწილეობის (multiple stakeholder) დანერგვა. მან ასევე ხაზი გაუსვა ევროდირექტივებისა და ქართული კანონმდებლობის შესაბამისობის საკითხებს, რომელზეც სპეციალური სამუშაო ჯგუფი მუშაობს. კომუნიკაციების ეროვნული კომისიის წარმომადგენელმა ასევე ისაუბრა პერსონალური მონაცემების, კონკურენციის საკითხების, ხელმისაწვდომობის, მომხმარებელთა და საავტორო უფლებების დაცვის საკითხების, ასევე ბავშვების დაცვის პოლიტიკის შესახებ.

**დუშან სტოჟიევიჩი** (SEEDIG (სერბეთი)) - ინტერნეტ მმართველობის სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის დიალოგის წარმომადგენელმა დუშან სტოჟიევიჩმა ისაუბრა აღმოსავლეთ



ევროპის გამოცდილებების შესახებ. მან სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის რეგიონის უნიკალურობას გაუსვა ხაზი და იმაზე ილაპარაკა თუ რატომ გადაწყდა 3 წლის წინ სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის დიალოგის შექმნა ინტერნეტ მმართველობის საკითხებზე. ის შეეხო ისეთ საკითხებს როგორც არის დომენური სახელები, ციფრული გაყოფა რეგიონის ყველა ქვეყანაში, კიბერ დანაშაულთან დაკავშირებული პრობლემები, სოფლის მოსახლეობის წვდომა ინტერნეტთან და სხვა იმ პრობლემურ საკითხებზე რაც საერთოა ამ რეგიონის თითოეული ქვეყნისთვის. დუშან სტოჟივიჩიმა ასევე გაუზიარა ფორუმის მონაწილეებს სერბეთის გამოცდილება დომენებთან დაკავშირებით.



**მარკ კარველი** (კულტურის, მედიისა და სპორტის დეპარტამენტი (DCMS) (გაერთიანებული სამეფო)) – მარკ კარველმა ისაუბრა დიდი ბრიტანეთის გამოცდილებასა და არსებული რეალობის შესახებ. დიდი ბრიტანეთისა და საქართველოს მთავრობის თანამშრომლობის შესახებ. თანამშრომლობის მიზანია უკეთესი პოლიტიკის შემუშავება და უკეთესი შედეგების მიღება ინტერნეტ მმართველობის სფეროში. კარველმა განიხილა დიდი ბრიტანეთის მრავალ-მონაწილიანი (multipal stakeholder) ინტერნეტ მმართველობის მექანიზმი. ხაზი გაუსვა ყველა მონაწილის ჩართულობის, ინფორმაციის გაცვლის, გაზიარების ასევე საერთაშორისო შეხვედრებში და კონფერენციებში ჩართულობის, მთავრობის პოლიტიკის კორექტირება-კომენტირების მნიშვნელობას.

## სესია 2 - ინტერნეტის ხელმისაწვდომობა და ფართოზოლოვანი ჩამორჩენა

**მოდერატორი:** მარიტ ჰალოვირტა, ევროპის რეგიონალურ საქმეთა მენეჯერი, ინტერნეტ საზოგადოება (ISOC)

სესიაზე განიხილეს ისეთი საკითხები, როგორცაა ინტერნეტის მდგრადი განვითარების საერთაშორისო მიზნები, ინტერნეტის ხელმისაწვდომობა, სხვადასხვა ქვეყნის და რეგიონის გამოცდილება. ინტერნეტის ხელმისაწვდომობა დასახელდა, როგორც ძირითადი კომპონენტი მდგრადი განვითარებისთვის. ITU-ს მონაცემების



მიხედვით, საქართველოში ინტერნეტის მიღწევადობა არის 45%, სომხეთში - 58%, აზერბაიჯანში - 66%. შესაბამისად, მოსახლეობის მიღწევადობის გაზრდა კვლავ ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად რჩება.

### მომხსენებლები:

**ბესარიონ აბულაძე** (პროექტის კოორდინატორი, GENIE, მსოფლიო ბანკი) - ბესარიონ აბულაძემ ისაუბრა GENIE პროექტის შესახებ, რომელიც „მსოფლიო ბანკსა“ და



საქართველოს შორის პარტნიორობის უახლესი სტრატეგიის ძირითადი ელემენტია. ხაზი გაუსვა იმ ნაბიჯებს, რაც გადაიდგმება ამ პროექტის ფარგლებში ინტერნეტზე ხელმისაწვდომობის გასაზრდელად და ინოვაციური ინფრასტრუქტურის განვითარებისთვის საქართველოში. მათ შორისაა 8 რეგიონული ჰაბისა და 50 რეგიონალური ინოვაციური ცენტრის შექმნა საქართველოს მასშტაბით. ბესარიონ აბულაძის თქმით,

პროექტის მეორე კომპონენტია ინოვაციური მომსახურებების შეთავაზება, რაც გულისხმობს განათლების კომპონენტის განვითარებას იმ ინფრასტრუქტურის გამოყენებით, რომელიც პირველი კომპონენტის ფარგლებში შეიქმნება. ასევე 3 000 ინდივიდუალის ტრენინგებს IT სფეროში, რომლებიც კონკურენტული იქნებიან არამხოლოდ საქართველოს, არამედ საერთაშორისო დასაქმების ბაზარზე. პროექტის მესამე კომპონენტია ინოვაციების დაფინანსება. დაფინანსდება არამხოლოდ სტარტაპები, არამედ კომპანიებიც, რომელთაც აქვთ ინოვაციური იდეები. ბესარიონ აბულაძემ ასევე ისაუბრა იმ პრობლემებზე, რომელიც არსებობს ინტერნეტზე წვდომასთან დაკავშირებით მოსახლეობაში, მან ხაზი გაუსვა ისეთ საკითხებს როგორცაა კომპიუტერული აღჭურვილობის არ არსებობა, პირველადი ინსტალაციის მაღალი დანახარჯები და კომპიუტერული უნარების ნაკლები ფლობა მოსახლეობაში. GENIE პროექტის მიზანია მათი გაუმჯობესება და ბარიერების მოხსნა.

**ნინო ქუბინიძე** (დირექტორი, „ოუფენეტი“) - ნინო ქუბინიძემ ისაუბრა იმ გზებზე, რომელთა საშუალებითაც ქვეყანაში უნდა გაიზარდოს ინტერნეტის ხელმისაწვდომობა. „ოუფენეტის“ დირექტორმა ისაუბრა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ინოვაციური განვითარების სააგენტოს პროექტებზე, რომლის ერთ-ერთი პრიორიტეტია ინტერნეტიზაცია. საქართველოში ფართოზოლოვანი, ოპტიკურ-ბოჭკოვანი ინფრასტრუქტურის



მარიამ სულაბერიძემ ისაუბრა განვითარების სახელმწიფო პროგრამის განხორციელების მიზნით, 2015 წელს დაარსდა „ოუფენეტი“ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს „ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს“ მიერ. ნინო ქუბინიძემ ხაზი გაუსვა მისი საქმიანობის ძირითად მიმართულებებს: კერძო სექტორისთვის ხელშეწყობა

ფართობოლოვანი ინფრასტრუქტურის გასავითარებლად, ფინანსური ხელშეწყობის გზით და ფართობოლოვანი, ოპტიკურ-ბოჭკოვანი ინფრასტრუქტურის მშენებლობა და ოპერირება. როგორც ნინო ქუბინიძემ აღნიშნა, პროგრამის მიზანია მაღალსიჩქარიანი ინტერნეტთან წვდომის ხელშეწყობა მთელი საქართველოს მასშტაბით. ინფრასტრუქტურის მშენებლობა, ქსელის დაგეგმარება-გამართვა და ბოლოს ოპერირებისთვის კონკურსის წესით მმართველობაში გადაცემა.

**გედიმინას შჩკუსი** (იურიდიულ და კორპორატიულ საქმეთა დეპარტამენტის უფროსი, „Plačiauostis internetas“ (ლიტვა)) - ისაუბრა ამ სფეროში ლიტვის გამოცდილებაზე და



გატარებული ღონისძიებების შედეგებზე. ეკონომიკურ და გეოგრაფიულ გამოწვევებთან გასამკლავებლად, ლიტვის მთავრობამ გადაწყვიტა დაეარსებინა Plačiauostis internetas, რომელიც პროცესების მნიშვნელოვანი მონაწილე გახდა სოფლებსა და ნაკლებად დასახლებულ ადგილებში. 2005 წლის შემდეგ ლიტვამ ძალიან დიდ წარმატებებს მიაღწია. უფრო მეტიც, ლიტვამ შეიმუშავა ფართობოლოვანი სისტემის საკუთარი, უნიკალური ინსტიტუციონალური

მოდელი.

პანელის განმავლობაში განიხილეს საქართველოში ფართობოლოვანი, ოპტიკურ-ბოჭკოვანი ინფრასტრუქტურის განვითარების პერსპექტივა და მიმდინარე პროექტები.

**მარიამ სულაბერიძემ** (სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტი, GNCC) ისაუბრა იმ

საკანონმდებლო ცვლილებების შესახებ რომელთა გატარებასაც 2014/61 ევროდირექტივა ითვალისწინებს ელექტრონულ კომუნიკაციებთან დაკავშირებით. პრეზენტაციის დროს მან ისაუბრა გადადგმულ ნაბიჯებზე. ხაზი გაუსვა ფაქტს, რომ ფართობოლოვანი სისტემა უმნიშვნელოვანესია როგორც დაფავის, ასევე სიჩქარის თვალსაზრისით. ახალი წესები გამიზნულია ინფრასტრუქტურულ გაზიარებაზე, ინფორმაციულ გაზიარებაზე და სამოქალაქო სამუშაოების კოორდინაციაზე საკონუმიკაციო ოპერატორებსა და ტექნიკურ ოპერატორებს შორის მაღალსიჩქარიანი ფართობოლოვანი ქსელის შესაქმნელად.



## მესამე სესია - დომენური სახელები და ინტერნეტი

მოდერატორი: მიხაილ იაკუშვილი, ვიცე პრეზიდენტი, ICANN

მომხსენებლები:



**ტომას შნაიდერიმა** (თავჯდომარე, ICANN-ის სამთავრობო საკონსულტაციო კომიტეტი (GAC), (შვეიცარია)) წარმოადგინა ძალიან საინტერესო პრეზენტაცია ინტერნეტ მმართველობის საკითხებთან დაკავშირებით. კერძოდ მან ისაუბრა ICANN-ის მრავალმონაწილიან მოდელზე, კერძოდ სექტორის ლიდერობაზე ინტერნეტ მმართველობის საკითხებში, კერძოდ და სამთავრობო სექტორების თანამშრომლობასთან დაკავშირებულ საკითხებზე. ასევე GAC-ის აქტივობებზე და შვეიცარიის გამოცდილებაზე.



**მზია გოგილაშვილიმა** (სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტი, GNCC) ისაუბრა შესაძლო მარეგულირებელ წესებზე .ge ccTLD და .გე IDN ccTLD დაკავშირებით. მოკლედ წარმოადგინა GNCC-ის საკონსულტაციო დოკუმენტი და მისი შედეგები ამ საკითხებთან დაკავშირებით.



**ლიანა ვალსტიანიმა** (ISOC.AM, .huy (სომხეთი)) ისაუბრა .huy სომხეთი IDN ccTLD-ის შესახებ.



**სოფო ელიზბარაშვილიმა** (ITDC, .გე ადმინისტრატორი) ისაუბრა .გე საქართველო IDN ccTLD-ის შესახებ.

**სოფო კიზირიამ** („კავკასუს ონლანი“, .გე ადმინისტრატორი) და **გენადი როსტომაულმა** („მაგთიკომი“) ისაუბრეს საქართველო ccTLD-თან დაკავშირებულ გამოწვევებსა და განვითარების ეტაპებზე.



სესიის ბოლოს გაიმართა დისკუსია კითხვა-პასუხის რეჟიმში. სესია იყო ერთ-ერთი ყველაზე ინტენსიური.

## პარალელური სესიები

### მეთხე სესია - ელ-მმართველობის მიღწევები და გამოწვევები

მოდერატორი: გიგა პაიჭაძე,  
საქართველოს მთავრობის  
ადმინისტრაცია

მომხსენებლები:

**გიგა პაიჭაძემ** პანელის შესავალ სიტყვაში ისაუბრა აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ დაგეგმილ პროექტებზე. საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციაში 2015 წელს შექმნილ



ელექტრონული მმართველობის განვითარების სამსახურზე, რომელიც ითვალისწინებს სხვადასხვა სამინისტროსა და სიპებს ანუ სააგენტოების ერთიანი ქუდის ქვეშ გაერთიანებას. იმისათვის რომ არ მოხდეს გადათარგვები და რამდენიმე სამინისტროს მიერ ერთიდაიმავე პროექტებზე თანხების ხარჯვა, დონორებთან კოორდინაცია და სახელმწიფო პროექტების დაფინანსება და პირველადი მართვა-მხარდაჭერა ხშირად ცენტრალიზებურად, მთავრობის ადმინისტრაციიდან ხდება და შემდეგ უკვე აღმასრულებელი სამინისტროები ან სააგენტოები აგრძელებენ პროექტებს. გიგა პაიჭაძემ ასევე ისაუბრა საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის ძირითად ამოცანაზე - e-georgia-ზე მუშაობის განახლება, e-georgia-ს სტრატეგია ნიშნავს ძველი ელექტრონული მმართველობის პროექტების გეგმის განახლებას. სტრატეგიის განახლების საჭიროებაზე მომავლის ტრენდების გათვალისწინებით.

**ლევან ავალიშვილმა** (თავმჯდომარე, ააიპ „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“ (IDFI)) ისაუბრა IDFI-ის მუშაობის ძირითად მიმართულებებზე ელექტრონული



მმართველობის საკითხებთან დაკავშირებით საქართველოში. გამოყო ისეთი საკითხები, როგორცაა ელექტრონული დემოკრატიის განვითარება ქვეყანაში, ჩართულობის მექანიზმების ხელშეწყობა, ელექტრონული გამჭვირვალობა, მოქალაქეთა მონაწილეობის უზრუნველყოფა სხვადასხვა მექანიზმით. ასევე ისაუბრა გაეროს ელექტრონული მმართველობის კვლევის შედეგების შესახებ. გაეროს ელექტრონული მმართველობის რეიტინგი ორ ძირითად მიმართულებას მოიცავს - ელექტრონული მმართველობის რეიტინგი და ელექტრონული ჩართულობის რეიტინგი. დაახლოებით 192 ქვეყანას შორის საქართველოს რეიტინგი 2012 წელს იყო 76-ე პოზიცია

ელექტრონული მმართველობის რეიტინგში, 2014-ში - 56-ე პოზიცია, ხოლო 2016-ში 61-ე რაც შეეხება ჩართულობის რეიტინგს - 2014 წელს საქართველოს 49-ე პოზიციაზე ეკავა, 2016 წელს კი - 76-ე. ხაზი გაუსვა კვლევის შედეგად გამოვლენილ მნიშვნელოვან პრობლემებს - მათ შორის ადამიანური კაპიტალის წიგნიერების ღონესა და სატელეკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის განვითარების ხარისხს. რაც შეეხება ჩართულობის რეიტინგს, ის ასევე 3 ნაწილად იყოფა - ელექტრონულად ინფორმაციის გამოქვეყნება, ელექტრონული კონსულტაციების მექანიზმების არსებობა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობა. 2016-ში მესამე კომპონენტი 0 ქულით შეფასდა საქართველოში. ასევე უკუსვლაა ელექტრონულად ინფორმაციის ხელმისაწვდომობის საკითხში. ლევან ავალიშვილმა ისაუბრა რეკომენდაციებზე, რომელთა საშუალებითაც უნდა დაიძლიოს ეს გამოწვევები. მაგალითისათვის პეტიციების სისტემების შექმნაზე პარლამენტში ან მთავრობაში; my.gov.ge-ზე რაც შეიძლება მეტი ელექტრონული სერვისი განთავსება; ციფრული ხელმოწერის რეფორმა და სხვა.

**ირაკლი გვენეტაძემ** (თავჯდომარე, მონაცემთა გაცვლის სააგენტო (DEA)) ისაუბრა იმ რეფორმებსა და მათ მნიშვნელობაზე, რომელთაც ხელი შეუწყევს ელექტრონული მმართველობის გაუმჯობესებას საქართველოში, მათ შორის საჯარო რეესტრის, სამოქალაქო რეესტრის, ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის, პოლიციის, ელექტრონული შესყიდვების, ელექტრონული აუქციონის, უმაღლეს სასწავლებლებში მისაღები გამოცდების და სხვა რეფორმების შესახებ. ხაზი გაუსვა ინფორმაციული ტექნოლოგიების მნიშვნელობას. რეფორმების მიზანი, მთავრობის როგორც ერთი ორგანოს მუშაობის დანერგვა და მოქალაქეებზე ორიენტირებული სისტემის შექმნაა. 2010 წელს შეიქმნა მონაცემთა გაცვლის სააგენტო, რომლის მთავარი სამი მიმართულებაა ელექტრონული მმართველობის განვითარება, მონაცემთა გაცვლის ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბება და ინფორმაციული და კიბერუსაფრთხოება. ირაკლი გვენეტაძემ ასევე ისაუბრა იმ ინიციატივაზე, რომელიც მალე განხორციელდება და ბიზნეს სახლის შექმნას ისახავს მიზნად. ბიზნეს სერვისების ერთ შენობაში განთავსება მოხდება. გაჩნდება ბიზნესთან კომუნიკაციის ერთიანი არხი, სადაც ბიზნესის წარმომადგენელი მიიღებს და გამოითხოვს ყველა სახის ინფორმაციას, ასევე საჩივრებიც. my.gov.ge გახდება ბიზნესისა და მოქალაქეებისთვის ერთიანი პროტალი. მან ასევე ისაუბრა კიბერუსაფრთხოების მნიშვნელობაზე და ამ მიმართულებით საქართველოს პრაქტიკაზე.



**ივარ ტალომ** (TWINNING პროგრამა, ინტერნეტ მმართველობა (ესტონეთი)) ისაუბრა საგადასახადო სისტემის მნიშვნელობაზე ქვეყანაში, დამატებული

ღირებულების გადასახადზე, მის ეფექტიანობაზე, თუ როგორი შეიძლება იყოს საგადასახადო სისტემა ელექტრონული მმართველობის ჩარჩოებში. ასევე ისაუბრა კიბერ უსაფრთხოებისა და დანაშაულებთან დაკავშირებულ საკითხებზე. საერთაშორისო რეგულირების თემაზე და საერთაშორისო თანამშრომლობის მექანიზმებზე.

## მეხუთე სესია - პერსონალური მონაცემების დაცვა ინტერნეტ სივრცეში

**მოდერატორი: ნინი სარიშვილი,**  
საერთაშორისო ურთიერთობების  
დეპარტემენტის უფროსი, პერსონალურ  
მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატი



### მომხსენებლები:

**მარი უორუი** (ევროპის საბჭოს  
დამოუკიდებელი ექსპერტი (საფრანგეთი)) -  
მარი უორუის გამოსვლა დაეთმო

პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამართლებრივ ასპექტებსა და ციფრულ ეპოქაში პერსონალურ მონაცემთა დაცვის სფეროში არსებულ გამოწვევებს. მარი უორუის თქმით, ტექნოლოგიური პროგრესის პირობებში მთავარ გამოწვევას წარმოადგენს მონაცემთა უსაფრთხოება ინტერნეტ სივრცეში, ასევე, პერსონალურ მონაცემთა უკანონო მოპოვება და დამუშავება, მათი მოხვედრა მესამე მხარის ხელში. აგრეთვე მესამე მხარის მიერ დიდი რაოდენობით ინფორმაციის მოპოვება და შენახვა, წაშლა ან მათი შეცვლა, მონაცემთა უნებართვოდ გამოყენება წარმოადგენს მნიშვნელოვან საფრთხეს. აღნიშნული რისკები აგრეთვე უკავშირდება მონაცემთა ტრანსსასაზღვრო გადაცემას. გარდა საფრთხეებისა, მარი უორუმა ისაუბრა გამომწვევებთან გამკლავების კონკრეტულ გზებსა და მექანიზმებზე, მათ შორის, საერთაშორისო თანამშრომლობის მნიშვნელობასა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის საერთაშორისო სტანდარტების გაძლიერებაზე, ადგილობრივი საზღვარგარეთული ორგანიზაციების როლის გაზრდასა და ახალ სტრატეგიებზე. გარდა ამისა, მარი უორუმა ისაუბრა პერსონალურ მონაცემთა დაცვის სფეროში ევროკავშირის გამოცდილებასა და ევროპის მართლმსაჯულების სასამართლოს მიერ განხილულ კონკრეტულ საქმეებზე.

**გიორგი პირველი** - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კიბერდანაშაულთან ბრძოლის სამმართველო. გიორგი პირველმა ისაუბრა სამინისტროს კიბერდანაშაულთან ბრძოლის სამმართველოს სტრუქტურასა და დანაშაულის გამოძიების სქემაზე. მომხსენებელმა



დეტალურად განიხილა პერსონალურ მონაცემებთან დაკავშირებული კიბერდანაშაულის გავრცელებული სახეები და ინფორმაციის უკანონოდ მოპოვების ისეთი მეთოდები, როგორებიცაა ფიშინგი, ვიშინგი და სმიშინგი. გიორგი პირველმა ასევე ისაუბრა კიბერდანაშაულის ჩადენის მეთოდებზე, მათგან მომდინარე საფრთხეებსა და პრევენციის საშუალებებზე. გარდა ამისა, გიორგი პირველმა ყურადღება გაამახვილა კიბერდანაშაულთან ბრძოლის პრობლემატურ ასპექტებზე, კონკრეტულად, ინტერნეტ მომსახურების მიმწოდებლებისგან ინფორმაციის მიღების და შესაბამისი საკანონმდებლო რეგულაციის არარსებობის საკითხები. გიორგი პირველის თქმით, აღნიშნული პრობლემის გადაჭრის ერთ-ერთ საშუალებას წარმოადგენს საკანონმდებლო ჯგუფის შექმნა, რომელიც იმუშავებს საკანონმდებლო ნორმების დახვეწის საკითხებზე.

**ლიკა საჯაია** („საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველოს“ საპარლამენტო



მდივანი, სამოქალაქო კამპანია უკანონო მიყურადების წინააღმდეგ „ეს შენ გეხება“) - ლიკა საჯაიამ ისაუბრა ინტერნეტ სივრცეში პერსონალურ მონაცემთა დაცვის სფეროში არსებული კანონმდებლობისა და გამოწვევების შესახებ, მათ შორის 2014 წლის აგვისტომდე არსებულ რეგულაციებსა და შემდგომ განხორციელებულ რეფორმებზე. მომხსენებელმა ასევე განიხილა ინტერნეტ მომსახურების მიმწოდებლების და ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების განმხორციელებელი ორგანოების უფლებამოსილებები. ლიკა საჯაიას თქმით, კამპანიის „ეს შენ გეხება“

ფარგლებში შემუშავებული საკანონმდებლო წინადადება ითვალისწინებს პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებულ დამოუკიდებელი სააგენტოს შექმნას, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის მიერ კონტროლის მექანიზმების გაძლიერებას.

**მეექვსე სესია - საავტორო უფლებების დაცვა**

მოდერატორი: ნათია კუპრაშვილი, აღმასრულებელი დირექტორი, საქართველოს რეგიონულ მაუწყებელთა ასოციაცია (GARB)

მომხსენებლები:



**ეკა ყუბუსიძე** (კავშირგაბმულობის, საინფორმაციო და თანამედროვე ტექნოლოგიების დეპარტამენტის უფროსი, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო) - ეკა ყუბუსიძემ ისაუბრა იმ საკანონმდებლო ნორმებზე, რომელიც იცავს საავტორო უფლებებს ინტერნეტში. ასევე საკანონმდებლო ბაზის

სრულყოფის პროცესში საქმეების, სერვისპროვაიდერებისა და სხვა მხარეების ჩართულობაზე. მან ასევე ხაზი გაუსვა იმ ვალდებულებებს, რომელიც ქართულ მხარეს აღებული აქვს DCFTA-ის ფარგლებში საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ კანონში ცვლილებების შეტანასა და ახალი საკანონმდებლო ბაზის მიღებასთან დაკავშირებით.

**ივანე მახარაძე** (მაუწყებლობის რეგულირების დეპარტამენტის უფროსი, GNCC) - ივანე მახარაძემ მიმოიხილა ინტერნეტში მართლზომიერი კონტენტის დაცვის საკითხები. ისაუბრა იმ ღონისძიებების შესახებ, რომელსაც კომისია ატარებს საავტორო უფლებების დაცვის კუთხით, მათ შორის სამაუწყებლო ბაზარზე კონტენტის გასუფთავების მიზნით. ივანე მახარაძემ ისაუბრა იმ პროცესის შესახებ რომელიც დაუშვებელი კონტენტის გავრცელების აღსაკვეთად არსებობს და ასევე გამოყო პრობლემა, რომელიც ამ ეტაპისთვის განსაკუთრებით მწვავედ დგას - კონკრეტული ლინკების და არა მთლიანად ვებგვერდის დაბლოკვის მექანიზმის არ არსებობა. ივანე მახარაძის შეფასებით, ეს არის პრობლემა, რომელიც კანონმდებლობის შექმნის დროსაც უნდა იყოს გათვალისწინებული.



**ირაკლი კასრაძე** (სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნების და დიზაინის დეპარტამენტის უფროსი, საქპატენტი) - ირაკლი კასრაძემ ისაუბრა საქართველოში არსებულ სიტუაციაზე საავტორო და მომიჯნავე უფლებების სფეროში და ასევე ინტერნეტთან დაკავშირებული საკითხების საკანონმდებლო რეგულირებაზე, ასევე საერთაშორისო და ადგილობრივი კანონმდებლობის შესაბამისობაზე. როგორც ირაკლი კასრაძემ აღნიშნა, ამჟამად მიმდინარეობს მუშაობა ელექტრონული კომერციის კანონის შემუშავებაზე და არსებულ კანონმდებლობაში ცვლილებების შეტანაზე.

**იური კარგაპოლოვი** (უკრაინული ქსელური საინფორმაციო ცენტრი/UANIC) - იური კარგაპოლოვმა ისაუბრა უკრაინის გამოცდილებაზე, სადაც უკრაინის ქსელურმა საინფორმაციო ქსელმა 2013 წლიდან დაიწყო აქტიური მუშაობა საავტორო უფლებების დაცვის საკითხებზე ინტერნეტში. ამისათვის ქვეყანაში შეიქმნა სპეციალური სამუშაო ჯგუფი. უკრაინის კომუნიკაციების მარეგულირებელ კომისიასთან ერთად. უკრაინაში შეიქმნა multi-stakeholder მოდელი, რომელშიც ჩართულები არიან ბიზნესის, მთავრობის, ასევე არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები. შეიქმნა სატრასტო მოდელი.



## მეშვიდე სესია - ბავშვთა ონლაინ დაცვა

მოდერატორი: ჯაბა ნაჭყებია, UNICEF

მომხსენებლები:

**თამთა ტეფნაძე** (მომხმარებელთა უფლებების საზოგადოებრივი დამცველი)



**ნიკოლოზ ვარნაზაშვილი** (საქართველოს პარლამენტის ჯანდაცვის კომიტეტი)

**ირინა ვერძეული** (დეპარტამენტის უფროსი, სტრატეგიული

განვითარების დეპარტამენტი, GNCC) - სხვა ქვეყნების მაგალითების მიხედვით, ეფექტური პოლიტიკა ბავშვების უფლებების დასაცავად ინტერნეტში გულისხმობს მრავალმხრივ მიდგომას, რომელიც უნდა მოიცავდეს სხვადასხვა პირდაპირ თუ ირიბ მექანიზმებს. ესენია განათლება, მშობლების, პედაგოგებისა და თავად ბავშვების ცნობიერების ამაღლება, სპეციფიური რეგულაციების დანერგვა, ტექნიკური მეთოდები.



აგრეთვე უნდა მოიცავდეს სხვადასხვა დაინტერესებული პირების ჩართულობას და თანამშრომლობას (სამთავრობო სტრუქტურები, საჯარო დაწესებულებები, არასამთავრობო ორგანიზაციები, სამოქალაქო საზოგადოება, კერძო სექტორი) და რა თქმა უნდა, თანამშრომლობის სხვადასხვა დონეებს, როგორც შიდა ეროვნულ, ასევე - საერთაშორისო ორგანიზაციებთან ორმხრივ და მრავალმხრივ თანამშრომლობას. სახელმწიფო კოორდინაციას უწევს ერთიანი სტრატეგიის შექმნას, რომლითაც განისაზღვრება მისაღები საკანონმდებლო ნორმები, სამოქმედო გეგმა და ბიუჯეტი, გაინერგება ზუსტი მიზნები და შესრულების ინდიკატორები, განისაზღვრება ის სამთავრობო უწყებები და საჯარო დაწესებულებები, რომლებიც პასუხისმგებლები იქნებიან ამა თუ იმ ღონისძიების გატარებაზე; შემუშავდება წამახალისებელი მექანიზმები არასამთავრობო სექტორის ჩართულობისათვის და ზუსტად განისაზღვრება კერძო სექტორის როლი და ვალდებულებები; ერთიანი სტრატეგიის შემუშავების დროს უნდა ვიხელმძღვანელოთ სამი ძირითადი პრინციპით: 1. შესაძლებლობების გაძლიერება მშობლებისთვის და ბავშვებისთვის - ბავშვისთვის ონლაინ რისკების შეფასებასა და შემცირებაში უპირატესი როლი ეკისრება მშობელს, სხვა დაინტერესებული მხარეები მხოლოდ ეხმარებიან და აძლიერებენ მშობლის შესაძლებლობებს; 2. პროპორციულობა და ფუნდამენტური უფლებების პრინციპი - შემუშავებულ პოლიტიკა და მეთოდები უნდა იყოს მოსალოდნელი რისკის პროპორციული, ეფექტური და დაბალანსებული, არ უნდა ზღუდავდეს შესაძლებლობებს და სარგებელს ბავშვებისთვის და სხვა მოქალაქეებისთვის, უნდა შეესაბამებოდეს დემოკრატიული

საზოგადოების ფუნდამენტურ პრინციპებს; 3. შემუშავებული მეთოდები უნდა იყოს გრძელვადიანად გათვლილი, უნდა იყოს ტექნოლოგიურად ნეიტრალური და ითვალისწინებდეს ტექნოლოგიურ განვითარებას.

## მერვე სესია - თემა: ახალი მედია და ინტერნეტი

მოდერატორი: გიორგი გვიმრაძე,  
საინფორმაციო სამსახურის უფროსი,  
საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელი

მომხსენებლები:

**ნატა ძველიშვილი** (აღმასრულებელი  
დირექტორი, ჟურნალისტური ეთიკის ქართია) -



ნატა ძველიშვილმა

ისაუბრა სამართლებრივ საკითხებზე, რომელიც არსებობს ქვეყანაში ინტერნეტში მასალის მოხსნის, დაბლოკვის ან წაშლასთან დაკავშირებით. მან ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ ქვეყანაში არ არსებობს კანონი, რომელიც არეგულირებს ინტერნეტში მასალის განთავსებას ან მოხსნის საკითხს. ამის ნაცვლად არსებობს სხვადასხვა სამართლებრივი ნორმა სხვადასხვა საკანონმდებლო აქტში, რომლის

მიხედვითაც რეგულირდება სამართლებრივი ურთიერთობები ამ მიმართულებით. მან ასევე ისაუბრა საკანონმდებლო ბაზაზე და საერთაშორისო რატიფიცირებულ ნორმებზე. ასევე მიმოიხილა სხვადასხვა პრაქტიკული მაგალითი ინტერნეტიდან დაუშვებელი პროდუქციის მოხსნასთან დაკავშირებით.


**ტომას შნაიდერი** (შვეიცარიის მთავრობის წარმომადგენელი, ევროპის საბჭოს მედიისა და საინფორმაციო საზოგადოების კომიტეტი(CDMSI)) - ტომას შნაიდერმა ისაუბრა მედია რეგულირების, განსაკუთრებით კი ახალი მედიის რეგულირების საკითხებზე ევროპის საბჭოში. ევროდირექტივებსა და რეგულაციებზე ამ მიმართულებით. მიმოიხილა ევროსაბჭოს სხვადასხვა დოკუმენტი, კონვენცია და რეკომენდაციები. ასევე ევროდირექტივებისა და ადგილობრივი კანონმდებლობების შესაბამისობის მნიშვნელობა. ხაზი გაუსვა ახალი მედიის მნიშვნელობას, მისი ინტერპრეტაციის გზებს და ევროპის სხვადასხვა ქვეყნის მაგალითებსა და გამოცდილებას.

**მაია მეცხვარიშვილი** (რედაქტორი, netgazeti.ge) - მაია მეცხვარიშვილმა ისაუბრა ინტერნეტ მედიის თვითრეგულირების მექანიზმებზე. იმ მექანიზმებზე, რომელიც ჟურნალისტური ეთიკის ქართიას გააჩნია, გაიდლაინებისა და რეკომენდაციების სახით. მიმოიხილა ჟურნალისტური ეთიკის ქართის ქეისები ონლაინ



მედიაში უზუსტო ინფორმაციის გავრცელების და შემდეგ შესწორებასთან დაკავშირებით. ასევე შეეხო საავტორო უფლებების დაცვის საკითხებს მედიაში.


დახურვის სესია - ფორუმის მონაწილეებს სიტყვით მიმართეს მამუკა ანდლულაძემ (CoE საქართველო, მედია პროგრამის ხელმძღვანელი), მიხაილ იაკუშევმა (ვიცე პრეზიდენტი, თანამონაწილეთა ჩართულობის დარგი აღმოსავლეთ ევროპის, რუსეთისა და ცენტრალური აზიის რეგიონში, ICANN), ივორ მიკირტუმბანმა (ISOC სომხეთი, პრეზიდენტი) და მაქსიმ ბურტიკოვმა (RIPE NCC რეგიონალური ბიუროს ხელმძღვანელი).




GeoIGF თბილისი 2016 გაიმართა ძალიან მნიშვნელოვან დროს, იმაში დასარწმუნებლად რომ საკომუნიკაციო ტექნოლოგიებისა და ინტერნეტის განვითარების მიმართულება ხელს უწყობს ქვეყნის მდგრად განვითარებას. სესიები, რომელიც გაიმართა ინტენსიური კითხვა-პასუხების რეჟიმში, მიეძღვნა ისეთ თემებს როგორცაა: ინტერნეტ მმართველობის მრავალმხრივი ჩართულობის მიდგომა და ინტერნეტ მმართველობის მიზნები საქართველოში; ინტერნეტის ხელმისაწვდომობა და ფართობლოვანი ჩამორჩენა; დომენური სახელები და ინტერნეტი; ელ-მმართველობის მიღწევები და გამონწვევები; პერსონალურ მონაცემთა დაცვა და ინტერნეტი; საავტორო უფლებები და ინტერნეტი; ბავშვთა ონლაინ დაცვა და ახალი მედია და ინტერნეტი.

#### 4) მონაწილეების და ჩართულობის ანალიზი და განაწილება დაინტერესებული ჯგუფების, გენდერულ და ასაკობრივ ჯგუფში


მონაწილეების დაყოფა სექტორების მიხედვით



მონაწილეების დაყოფა გენდერულ ჯგუფში



მონაწილეების დაყოფა შიდა და გარე ჯგუფში



## 5. ღონისძიების ბიუჯეტი

საორგანიზაციო აქტივობები შესაძლოა დავეყთ რამდენიმე ძირითად მიმართულებად რომლის დაფინანსება მოხდა როგორც დონორების დახმარებით, ასევე ინტერნეტმმართველობის ფორუმის წევრი და ლოკალური მხარდაჭერების მიერ.

ეს აქტივობები შესაძლოა დავეყთ შემდეგ ჯგუფებად:

- ღონისძიების წინა მოსამზადებელი სამუშაოები (წევრების და საბჭოს წევრების შეხვედრები, შეხვედრისთვის ფართის მოძიება და მომზადება, მოსაწვევების მომზადება და დაგზავნა, წესდებისა და პროგრამის ბეჭდვა, არჩევნები, წესდებისა და პროგრამის დამტკიცება და ა.შ. და კონსულტაციები სხვა მხარდამჭერებთან);
- ღონისძიების ჩატარებამდე საორგანიზაციო კომიტეტის შეხვედრების ორგანიზება (შეხვედრისთვის ფართის მოძიება და მომზადება, მოსაწვევების მომზადება და დაგზავნა);
- ინტერნეტ გვერდის და სოციალური ქსელების მომზადება და გაშვება და სხვა დაკავშირებული აქტივობები (დომენის მოძიება და შექმნა, ვებ-გვერდის და სოციალური ქსელის გვერდების შექმნა და ადმინისტრირება);
- ბრენდინგთან დაკავშირებული აქტივობები (ფორუმის და სხვა საბეჭდი მასალების ფერის, ლოგოს შექმნა და ინტეგრირება, გამოკითხვების ჩატარება საბჭოს წევრებს შორის);
- საორგანიზაციო ფართის მომზადების სამუშაოები (ფართის მოძიება და შერჩევა, დარბაზი, ეკრანი, პროექტორი და ა.შ.);
- სინქრონული თარგმანი (ინგლისური და რუსული);
- კვება და ISOC-ის ორგანიზებული სპიკერების და სტუმრების ვახშამი;
- ბეჭდვითი საქმიანობა (გამოკითხვის გზით ბეჭდვითი კომპანიის მოძიება და შერჩევა, საბჭოს წევრებთან შეთანხმება, მოსაწვევი, ბეიჯი, დღის წესრიგი, პრეს ბანერები და საიმიჯო);
- მედია მხარდაჭერა (ვიდეო და ფოტო გადაღება, ონლაინ ტრანსლირება, ლაივ სტრემინგი, სატელევიზიო ვიდეოს მომზადება, ღონისძიების ანონსების მომზადება, ღონისძიების მედია გაშუქება)
- სოციალური ღონისძიება (ექსკურსია მეორე დღეს)
- სატრანსპორტო მომსახურება და ტრანსფერები (აეროპორტი - სასტუმრო - აეროპორტი და სასტუმრო - საკონფერენციო სივრცე - სასტუმრო).
- და საკონფერენციო სივრცეში).

საორგანიზაციო საქმიანობა შესაძლოა დავეყთ რამდენიმე მიმართულებად:

**ფორუმის ონლაინ მხარდაჭერა და დაკავშირებული ღონისძიებები** (domain web page and support, web-page administration, socia media support daivstream, ვებ-საიტის ჰოსტინგი, ინტერაქცია ონლაინ ჩართულობის მხარდაჭერა) – IDI, TOA, K. Stalinski, NEWTELCO/ALTERNET

ტექნიკური მხარდაჭერა - თარგმანი (CoE), დარბაზის აპარატურა (RIPE NCC), პროექტორი, პულტი, ეკრანი, კამერები GARB, ინტერნეტი GITA, ფოტოგრაფი, მოდერატორის, ლეპტოპი.

	თანხა (ევრო)	თანხა (ევრო)	მხარდამჭერი
ლონისძიების ლოგისტიკა			
საკონფერენციო სივრცე და ინტერნეტი	500		GITA
ტექნიკური აღჭურვილობა	1200	400	GARB, TOA, IDI GITA
ბევსტრიმინგი, ვიდეო და ფოტო გადაღება	700	550	ICANN, GARB
კვება (შესვენება ყავაზე და ლანჩი)	2200		CoE
ბეჭდური მასალა (ლონისძიების დღის წესრიგი, მაისურები, პრეს ბანერი, ბეჭეტი და სხვა)	1200	800	ICANN, RIPE NCC, ITDC, TOA
ადგილობრივი ტრანსფერები	200	200	GNCC, NEWTELCO, IDI, TOA
კომუნიკაცია (ვებგვერდი, ბეჭდური მასალა და სხვა)	2 400	1 600	ICANN, RIPE NCC, TOA, IDI
ოფიციალური სადილი	5 700	5 400	ISOC
სოციალური ღონისძიებები ექსკურსია, სადილი, სხვა დაკავშირებული აქტივობები	2 100	2 400	NEWTELCO, SYSTEMNET, IDI, TOA

## 6. მოკლე ინფორმაცია მოხალისეების და მხარდამჭერების შესახებ

ფორუმის ორგანიზების საბოლოო ეტაპზე ჩართულ იყო მოხალისეების ჯგუფი რომელთა კომპლექტაცია მოხდა ინტერნეტ გვერდზე განთავსებული სარეგისტრაციო ფორმიდან. მიუხედავად მსურველების დიდი რაოდენობისა შეირჩა 10 ადამიანი, რომელთა რაოდენობა ოპტიმალური იყო ღონისძიებისთვის და წინა მოსამზადებელი სამუშაოებისთვის.

#	აქტივობა	რაოდენობა (10)	შენიშვნა
1	სტუმრების დახვედრა, სარეგისტრაციო მაგიდასთან დახმარება, ბეჭების, ბლოკნოტებისა და საწერი კალმების, ბუკლეტების დარიგება, სივრში მოძებნა, ახსნა - განმარტებების მიცემა,	რეგისტრაციის მომენტში - 6, ხოლო 4 საკონფერენციო დარბაზში; მერე ღონისძიების მსვლელობისას - 2 რჩება სარეგისტრაციო მაგიდასთან	თუ რაიმე ფორს მაჟორი ან რაიმე გაუთვალისწინებელი ხდება სასწრაფოდ ატყობინებს ორგანიზატორებს (ანუ ჩვენ)

2	ფოიეში, დერეფანში მუდმივად	2	
3	სოციალურ ქსელებზე	Facebook – 1; Twitter - 1	
4	საკონფერენციო დარბაზის მომსახურება, მიკროფონების გადანაწილება,	თითო დარბაზში 2 - 2	

## 7. Georgian IGF 2016 ფორუმი - მედია გაშუქება

### ტელევიზია

საზოგადოებრივი მაუწყებელი- <http://1tv.ge/ge/videos/view/169479.html>

რუსთავი 2 – 18: 00 <https://youtu.be/j6jVRABDLyQ>

იმედი 14:00 - <https://www.youtube.com/watch?v=vmJg24Nj-l0&feature=youtu.be>

მაესტრო 15:00 <https://www.youtube.com/watch?v=sSY-9P8-NxA&feature=youtu.be>

[რეგიონული ტელევიზიები](#)

### რადიო

ფორტუნა - 14:30

პალიტრა- 09:30

რადიო თავისუფლება <http://www.radiotavisupleba.ge/a/27951901.html>

### სააგენტოები

ნეტგაზეთი: <http://netgazeti.ge/news/139138/>

On.ge: <https://on.ge/story/3306->

[%E1%83%97%E1%83%91%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%A8%E1%83%98-](#)

[%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%A2%E1%83%9B%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1-](#)

[%E1%83%A4%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%A3%E1%83%9B%E1%83%98-](#)

[%E1%83%98%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%94%E1%83%91%E1%83%90](#)

IPN 1: <http://www.interpressnews.ge/ge/sazogadoeba/395463-davith-khucishvilma-saqarthvelos-internetmmarthvelobis-forumi-2016-gakhsna.html>

IPN 2: <http://www.interpressnews.ge/ge/sazogadoeba/395227-saqarthvelo-internetmmarthvelobis-mashtabur-forums-umaspindzlebs.html?ar=A>

### Medianews.ge

<http://medianews.ge/ge/internetmmarthvelobisforumi2016gaikhsna/11921>

### kvira.ge

[\[%E1%83%AE%E1%83%A3%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%A8%E1%83%95%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%9B%E1%83%90-\]\(#\)](http://kvira.ge/%E1%83%93%E1%83%90%E1%83%95%E1%83%98%E1%83%97-</a></p>
</div>
<div data-bbox=)

[%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%95/](#)

### indein.net

<http://indein.net/2016/09/17/in-order-to-promote-the-use-of-the-internet-you-need-the-excess-but-this-is-the-only-element/>

<http://indein.net/2016/09/17/we-dont-pretend-that-this-is-an-easy-process-but-we-have-a-transparency-and-hopefully-we-will-have-a-better-results-in-the-end/>

<http://indein.net/2016/09/17/317/>

<http://indein.net/2016/09/17/the-first-internet-governance-forum-geoigf-2016-has-successfully-completed/>

**Commersant.ge**

[http://commersant.ge/?m=5&news\\_id=41006&cat\\_id=2](http://commersant.ge/?m=5&news_id=41006&cat_id=2)

**gbc.ge**

<http://gbc.ge/index.php?m=tst>

**newpost.ge**

<http://www.newposts.ge/?l=G&id=118179->

<http://www.newposts.ge/?l=G&id=118179-%E1%83%AE%E1%83%A3%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%A8%E1%83%95%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%98,%20%E1%83%A4%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%A3%E1%83%9B%E1%83%98>

**info 9**

<http://www.info9.ge/sazogadoeba/154438-saqarthvelo-internetmmarthvelobis-masshtabur-forums-maspindzlobs.html?lang=ka-GE>

**ghn.ge**

<http://www.ghn.ge/com/news/view/158949>

**e pn.ge**

<http://epn.ge/?id=30448>

ავტორები: კოორდინატორი უჩა სეთური  
მაკა ლანიაშვილი

## სპეციალური მადლობა GeoIGF2016-ის მხარდამჭერებს



